საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

დადგენილება №1

2020 წლის 9 ოქტომბერი

ქ. თბილისი

2020 წლის გამოშვების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის და 35–ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1

2020 წლის 15 ოქტომბრიდან მიმოქცევაში გაშვებულ იქნეს 2020 წლის გამოშვების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტები, როგორც გადახდის კანონიერი საშუალება, 2016 წლის გამოშვების იგივე ნომინალის ბანკნოტის იდენტური დიზაინისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით, გამოშვების წლით „2020“, საქართველოს ეროვნული ბანკის მოქმედი პრეზიდენტის ხელმოწერის ცვლილების გათვალისწინებით.

მუხლი 2

2020 წლის გამოშვების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოიქცევა წინა წლების გამოშვების იგივე ნომინალის ბანკნოტების პარალელურად.

მუხლი 3

საქართველოს ტერიტორიაზე 2020 წლის გამოშვების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტებით ანგარიშსწორება განხორციელდეს შეუფერხებლად.

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 15 ოქტომბრიდან.

ეროვნული ბანკის საბჭოს
თავმჯდომარე **კობა გვენეტაძე**